ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 4. 1920 წ. კვირა, მარტის 28, წელიწადი პირველი. № 4.

ფასი 3 მან.

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-
სალიტერატურო გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას მიიღებენ მცდონე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ცალი 3 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10—3 საათამდი. მისამართი დიმიტ. ძნებელ კრების ქ. № 5, „საქართველო“-ს ბინაზე.

ახალი განსაცდელი.

საქართველო დღეს ახალი განსაცდელის წინაშეა დამდგარი: როგორც არა ერთხელ, ისე დღეს, იგი განემოცულია და სხვა და სხვა საფრთხეს მოელის.

მაშინ, როდესაც მთელი საქართველოს ყურადღება მიქცეული იყო ბათომისაკენ და ყოველ ქართველის აღშფოთებული თვალი მხოლოდ იმას აქცევდა ყურადღებას, თუ როგორ ლამობდნენ დაეხშოთ საქართველოსთვის მისი ერთად ერთი კარი დასავლეთ-ევროპისაკენ, ჩრდილოეთით გროვდებოდენ სხვა ღრუბლები, რომელთაც არა ნაკლები საფრთხე შეუძლიანთ განუმზადონ ჩვენს სამშობლოს. ჩვენი ძველი მებატონე რუსეთი, ისევ მოადგა საქართველოს საზღვრებს და ამიტომ, დღეს, განსაკუთრებული სიმტკიცის დაცვა გვჭირდება. იქ, რუსეთში დღემდე ორი ძალა იბრძოდა: ერთი ძველი რუსეთის აღდგენის მსურველი, გენერალ დენიკინის ლაშქარი და მეორე ბოლშევიკები, რომელთაც უკვე გაანადგურეს ყველა ის ადგილები, რომელნიც მათ ჰქონდათ დაპყრობილი.

გენ. დენიკინის ჯარი მუდმივი მუქარა იყო საქართველოსთვის, რადგან იგი ვერ შერიგებოდა ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას და ჯერ თავის სამშობლოშიც ვერ გამაგრებულიყო, რომ ჩვენი დაპყრობა-დამონებისთვის ილტვოდა; და ჩვენც იმულებულნი ვიყავით, რომ ჩვენი ჯარის უმეტესი ნაწილი, მუდამ ამ მტრის საზღვარზედ გვყოლოდა და ამ ჯარის შესანახად ფული და სურსათი გაგვეღო.

რუსეთში დღეს ეს ჯარი დამარცხდა და მისი ნაწილები, რომელნიც გუშინ გაალმასებულები გვებრძოდნენ, დღეს გვემუდარებიან, რომ მივიღოთ და ბოლშევიკებისაგან დავიხსნათ.

მაგრამ მათი დამარცხებით ჩვენ საშიშროება არამც თუ არ აგვცილდა, არამედ კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნა: ბოლშევიკები, რომელნიც დღეს დენიკინის ჯარს სცვლიან რუსეთში, კიდევ უფრო ვერ შერიგებიან ჩვენს დამოუკიდებლობას და ისევე ლამობენ ყველა პატარა ერთა დაპყრობას, როგორც ძველი, მეფის რუსეთი.

ბოლშევიკების გამარჯვება კი, ჩვენთვის ორნაირად იქნება გამანადგურებელი: ერთი მით, რომ საქართველო სამუდამოდ დაჰკარგავს თავის დამოუკიდებლობას და ისევ მონობის ძველ უღელში გაებმება, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი სამშობლო განადგურდება და გაოხრდება, ბოლშევიკების მიერ, რომელნიც თავის მოქმედებით და ზნეობით მცირედ თუ განირჩევიან ველურებისაგან.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ბოლშევიკები იმდენად ძლიერნი არიან, რომ ადვილად შეუძლიანთ ჩვენი დაპყრობა: მათი ჯარები სრულებით გახრწნილია და ბრძოლის უნარს მოკლებული, ხოლო ამ ჯარის რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მათ რომელიმე ქალაქის დაპყრობის შემდეგ, არც კი შეუძლიანთ მისი ხანგძლივი დაცვა და ამიტომ ხდება, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, რუსეთის ქალაქები ერთი ხელიდან მეორეს ხელში გადადიან.

მაგრამ ბოლშევიკები მიმართავენ ერთს საშუალებას: ისინი შიგნით აწყობენ აჯანყებათ, ავრცელებენ ისეთ მიმზიდველ მოწოდებებს და ჰპირდებიან ხალხს ისეთ აუსრულებელ ოცნებებს, რომ უვიცი ხალხი წამოეგოს მათ ანკესზედ; რასაკვირველია, ეს ხალხი, სულ მალე გაიგებს ხოლმე ბოლშევიკების ოინებს, მაგრამ მაშინ ბოლშევიკებს უკვე თავისი საქმე გაკეთებული აქვთ: ასევე იქცევიან ისინი საქართველოშიც: თბილისში ამ ორი დღის წინ აღმოაჩინეს მთელი შეთქმულება ბოლშევიკებისა და აღმოჩნდა, რომ მათ სურდათ მოეწყოთ აჯანყება, რომ ამით ესარგებლათ მათ ჩრდილოეთით მომდგარ ზრზოებს.

მაგრამ ქართველი ხალხი იმდენად გონიერი და დინჯია, რომ ვერ გაჰყვება მათ მოწოდებებს, რადგან კარგად იცის, რომ ამ მოწოდებებმა რუსის ხალხს მოუტანა ორი წლის ძმათა შორისი ომი, სისხლის ღვრა და სრულებით გაანადგურა ყველაფერი ის, რაც რუსეთი მშრომელ ხალხს დიდი ხნის განმავლობაში, თავის ოფლით დაუმუშავებას.

ქართველი ერი მშვიდობით და მტკიცედ უნდა შეკავშირდეს.

და თუ ჩვენ, შიგნით თანახმობით და ძლიერად შეკავშირებულნი ვიქნებით მაშინ ჩვენთვის არავითარი გარეშე მტერი საშიში არ იქნება.

პური

მე მომდის უტყუარი ცნობები, რომ სოფლად ბევრია ხორბალია, რომ არაერთ გლეხს სავსე აქვს ორმოები და ბეღლები და მიუხედავად ამისა პურს არ აჩენსო, ბაზარში არ გამოაქვსო გასასყიდად, რადგან ელის დროს, როდესაც უფრო აიწევს ფასი, რათა მეტ მოგებით გაყიდოსო.

მე არ მოველოდი, ქართველს გლეხს არ ესმოდეს, რომ თავის ამგვარ მოქმედებით იგი დიდ სიძნელეს ჰბადებს ჩვენს ცხოვრებაში, რადგან ხორბალზე ფასის აწევით აძლევს სპეკულიანტებს საბაბს ყოველიფერი გააძვირონ, ცხოვრება გაამძნელონ და მით დაბადონ საერთო უკმაყოფილება, დრტვინვა, და ეს სიძვირე მიაწეროს იმას, რომ დღეს ჩვენი საყვარელი სამშობლო ცალკე თავისუფალი სახელმწიფოა. აკი ამიტომაც ჩვენი მტრები ნიშნის გებით გაიძახიან:

რუსობაში პური იაფი იყო და ახლა თქვენს თავისუფლებაში 18—25 მანათი გახდა?

უწინ საქართველოში წესად იყო მიღებული და ყველას ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა,—ყველაფერი შეიძლება გაძვირდესო, გარდა პურისა და მარილისა ან-და იყიდონ ხოლმე, ყველაფერი დაეჭირება მთხოვნელ გარდა პურ-მარილისაო.

და პურ-მარილით ხომ საქართველოს ხალხი მუდამ სათვალსაჩინო იყო!

ამიტომ აქ ერთგვარი ზეგავლენა ჰქონდა უფლის ლოცვას მეხუთე თხოვნასაც: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“.

მე არ ვურჩევ ჩვენს საყვარელ გლეხობას თავისი მონაგარი უფასოდ ურიგოს ყველას, მაგრამ ამასთანავე უნდა იცოდეს ყველამ, რომ თითოეული ჩვენთაგანი მოვალეა, რითაც შეიძლება, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას, და ხელოვნურად ფასების აწევით არ გაართულოს საერთო მდგომარეობა.

რაღა თქმა უნდა, ჩვენმა ხალხმა გარეშეს მუქაც არ უნდა დაუთმოს, თანახმად მამაპაპის სიტყვისა: „გარეთ ტაბლას რა ადგილი აქვს, შინ რომ ბაღლები ტიროდნენო“.

პირიქით, ყველა ნამეტი ხორბალი ჩვენი მთავრობის მოხელეებსა და ერობებს უნდა მიჰყიდოს რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში. თუ კი შარშან ან შარშანწინ ფუთს ყიდნენ 8—9 თუმნად და ბევრგან 2—3 თუმნადაც და მოგებაც რჩებოდათ, განა დღეს კი არ შეიძლება ფასები დაბლა დაეშოს! დროა შევიგნოთ, რომ რამდენადაც პურის ფასი დაიწევს, იმდენად დაეშვება დაბლა სხვა საგნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიდან კვირამდე

ლიტვას და პოლონეთის შორის მდგომარეობა გამწვავდა. ლიტვის ჯარმა დვინსკ—ვარშავის ხაზი დაიჭირა. მთელ ასპარეზზე ბრძოლაა.

გერმანიის მთავრობა გადადგა.

საბჭოთა ჯარები ყუბანისკენ იწევენ.

მოხალისეთა ჯარის დარჩენილ ნაწილმა კავკავი დასტოვა და დარიალს მოადგა სადაც მთავრობის ბრძანების თანახმად მათი განიარაღება ხდება.

აქვე შეიპყრეს გენერლები: ხალილოვი და მალსაგოვი.

თბილისში ბოლშევიკების სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი დააპატიმრეს.

საზავო კონფერენცია ნაალდგომევს შეიკრიფება.

ბოლშევიკები ნოვოროსიისკს უტევენ და კრიმსკაიას უახლოვდებიან.

ელჩთა კონფერენციამ სომხეთის საკითხი განიხილაა.

ფასები, საერთოდ გაიაფდება ყველა და ცხოვრებაც მოწესრიგდება. არა გვგონია, იყოს სადმე კაცი, რომ ესეთ მოწესრიგებას არ ნატრობდეს და არ ესმოდეს პურის ნიხრის გაძვირებას რა ზარალი მოაქვს უპირველეს ყოვლისა თვით იმავე მშრომელებისთვის, რადგან, როგორც ვთქვით, აზვიადებს ნიხრს სხვა საჭირო სარჩო-საბადებელს თუ საცვალ-სახურავებადაც.

მაშ, ქართველო მშრომელო, მუდამ სამშობლოს ერთგულო დარაჯო, მიიღე ზომა და ცხოვრება გაუმჯობესო შენს საყვარელს საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკას. განა არ იცით, რომ მარტო პურით და პურისთვის არ ცხოვრობს კაცი!

მ. ჯანაშვილი.

სასოფლო მეურნეობა

მეურნეობა და სოფლის სკოლები

თანამედროვე სოფლის სკოლას აკლია ერთი ის მამოძრავებელი ძარღვთაგანი, ურომლისოდაც მისი არსებობა ყოველ მნიშვნელობას არის მოკლებული.

დღეს ჩვენ სოფელს აკლია პრაქტიკული ცოდნა მეურნეობისა, აკლია ის ცოდნა, ურომლისოდაც ჩვენი სოფელი ვერ წაიწევს წინ.

სახალხო სკოლიდან გამოსული მოწაფე მოკლებულია მას და სოფლის ცხოვრებაში მას სკოლიდან გამოტანილი ბევრს არა ჰშველის.

სოფელში ის ახლად იწყობს სწავლას და მუშაობას, მაგრამ ხელმძღვანელ ხელს მოკლებულს.

ჩვენმა სკოლამ კი ისე უნდა მოამზადოს ბავშვი რომ ის არა თუ ცხოვრებაში კარგი მეურნე გამოვიდეს, არამედ მან თვისი ცოდნით წინ უნდა წასწიოს ჩვენი დაცემული სასოფლო-მეურნეობა.

ამისთვის სახალხო სკოლებში მოწაფეებმა ან უნდა საკმაოდ ვრცლად გაიარონ მეურნეობის სწავლა ან და ამავე სკოლებთან დაარსებულ იქმნეს ცალკე მეურნეობის განყოფილებები.

ბავშვს თავის ჰასაკში აქვს დიდი ენერგია და ხალისი, დიდი ინტერესი და საქმისადმი სიყვარული, ამისთვის მის მკვირცხლს გონებაში ადვილად ჩაიბეჭდება არა თუ მარტო სიყვარული მეურნეობისადმი, არამედ სათანადო ცოდნაც.

ამასთანავე კარგი იქნებოდა, რომ სახალხო სკოლებს ჰქონოდათ დამართული პატარ პატარა ბოსტნები და ბაღები, სადაც მოწაფეები ნასწავლს პრაქტიკულად გაივლიდნენ.

ბავშვი გაიცნობს მცენარეს და მისი მოვლა-მოშენება შეასწავლის მას წესიერებას და მის სულსაც გააფაქიზებს, გაახალისიანებს.

მაგრამ ყველა ეს რა იქნება, თუ ამ საქმეს, ამ განზრახვას არ ეყოლება შესაფერი და რიგიანი ხელმძღვანელი—სახალხო მასწავლებელი, ურომლისოდაც სახალხო სასწავლებელი მკვდარია და უსიცოცხლო.

სოფლის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს გამოცდილება სასოფლო მეურნეობაში და ცოდნა-სიყვარული.

მოუმზადებელი და გულაცრუებული მასწავლებელი, რაგინდ დიპლომიანი იყოს, არ უნდა შეუშვან სასწავლებელში, რადგან მასზედ არის დამოკიდებული მომავალი და ბედი მთელი იმ ახალი თაობისა, რომელიც უნდა სათავეში ჩაუდგეს არა მარტო სოფელს, ამ მამოძრავებელ ძარღვს ჩვენი სამშობლოსას, არამედ მთელ საქართველოს, მთელს ჩვენს ცხოვრებას და მომავალს.

მეურნე.

მევენახეობა და მეღვინეობა.

შაბიამან-გოგირდის ფასები.

მევენახე - მეღვინეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ანდრონიკაშვილი და საბჭოს წევრნი ვ. რცხილაძე, და გ. წინამძღვრიშვილი მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას წარუდგნენ და ვრცელი მოხსენება წარუდგინეს შაბიამან-გოგირდის ფასების შესახებ, რომელიც დღითიდღე იზრდება და უკვე 800 მანეთამდე ავიდა. წარმომადგენელთა სიტყვით ფასების აწევას ხელს უწყობს ისიც, რომ ვიდრე ეს საქონელი მომხმარებლამდე მიაღწევდეს, სამს ხელში გადადის: ერობისა, თემისა და შემდეგ კოოპერატივის ხელში. ბ-ნმა ჟორდანიამ წარმომადგენელთან შესაფერ ღონისძიების მიღება აღუთქვა.

სტატისტიკა

მევენახე-მეღვინეთა საბჭომ დაადგინა, შეჰკრიფოს დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობები ვენახებისა და ღვინის რაოდენობისა, მისი შიდა მოძრაობისა და ექსპორტის შესახებ. საბჭომ ამ ცნობების მისაღებად შემდეგი წყაროები დაასახელა: რკინის გზა, საბაჟო, გადასახადების გამწერი, მეღვინე-მევენახეთა კომიტეტი, საფილოქსერო კომიტეტი და სხვა.

გადასახადი შემოტანილ ღვინოზე.

ამ ბოლო ხანს უცხოეთიდან ჩვენის რესპუბლიკაში შემოტანილ ღვინოზე გადასახადი დაწესდა: ვედროზე 40 მანეთი. ამ გადასახადისა, ჩვენს დაბა-სოფლებს არა გაუგიათ რა დღემდე, რადგანაც მათ ეს თითქმის სრულიად არ შეეხება, ხოლო ტფილისის ღვინის ვაჭართა შორის შიგა და შიგ უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილონი არიან განსაკუთრებით ის მოვაჭრენი, რომელნიც ღვინოს განჯიდან და ერევნიდან ეზიდებიან და კახურ ღვინოდ ასაღებენ. სამაგიეროდ კმაყოფილნი არიან კახური ღვინის ვაჭრები, რომელთაც შეძლება ეძლევათ მეტოქეობა გაუწიონ განჯურ-ერევნულ ღვინის ვაჭრებს.

მეღვინეთა კრება.

მევენახეობა - მეღვინეობის საბჭოს თაოსნობით ტფილისში მეღვინეთა კრება გაიმართა. კრებამ განიხილა რამდენიმე საკითხი, მაგალითად: შემოტანილ ღვინოზე ბაჟის დაწესება, აქციზის მოსალოდნელი მომატება, ღვინის ახალ კანონის შეცვლა, საბჭოს ნივთიერი ღონისძიებანი და სხვა.

კრება რომელსაც წინასწარი სათათბირო ხასიათი ჰქონდა, დიდის თანაგრძნობით შეხვდა საბჭოს დაარსებას და აღუთქვა ნივთიერი დახმარება. გამოირკვა, რომ საბჭოს შემოსავალს შეადგენს ის ორ-ორი მანეთი თვითეულ გაყიდულ ვედრო ღვინოზე, რომელსაც ტფ. რვა დიდი ფირმა იხდის საბჭოს ხარჯების გასასტუმრებლად.

დასასრულ კრებამ საჭიროდ სცნოახლავე აღმოუჩინონ საბჭოს ნივთიერი დახმარება და ამისთვის კომისიაც აmoირჩია, რომელშიაც შედიან: ა. აშაგოვი, გ. მესხიშვილი, ბ. თოროზოვი, მ. იანვარაშვილი, ა. დოლაბერიძე და ნ. ტერტეროვი.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

წერილი ქართლიდან

მეურნეობა.

ქართლის მიწის მუშის ყურადღება ჭირნახულის მოყვანაზეა მიქცეული. ცოტაოდენი მსუყე ადგილი, ეს სამი წელიწადია შეუსვენებლივ იხვნის და თითქოს ბუნების ჯიბრით, მოსავალი არ მოდის უხვი და სამყოფი—და არა, მთავარი საზრდო სიმინდია. ოჯახის შვილები, ვისაც სიმინდის მჭადი ხელად თუ გამოუცხვიათ, ახლა პურს აცხობენ ხილად შარშან არც სიმინდის მოსავალი იყო კარგი, ზემო ქართლი, ეს საქართველოს ბეღელი, ესეც გაძუნწდა, მართალია შარშანწინდელზე უკეთესი მოსავალი მოვიდა, მაგრამ როგორც ანდაზად იტყვიან „ჩვენ და გორელებს არ გვეყო“ ისე მოუვიდათ ქვეყანას არ ეყო. რაც იყო ჭირნახული ზემო ქართლში და ლიახვის ხეობაში გომის კოოპერატივის კავშირმა შეიძინა.

ძვირფასი მცენარეულობის მეურნეობა.

ქართლში არ არსებობს, თუ კომბოსტოთი დარგულ მინდვრებს არ მივიღებთ ამ დარგში. გორის ახლო ტირიფონისკენ მდებარე სოფლებში უხსოვარ დროიდან სთესენ სელს. სელიდან ჰხდიან გორში ზეთს. გორული ზეთი სახელგანთქმულია. წელს უკანასკნელი გამოხდილი ზეთი გორში გაიყიდა ფუთი სამას თუმნობაზე და მალე გათავდა. გორული ზეთი აღარ იზვებოდა. სელის სელის ნაჯიდან ხომ მშვენიერ ტილოს კანაფს ამზადებენ რუსეთში ჩვენში კი ამ ფრიად სასარგებლო ტილოს მოსაქსოვ მასალით სარგებლობა ჰაზრადაც არავის მოსდის და კევრებით ფშნეტენ საძაფსსელოს ღეროებს. ნეტავ ვინმე გამოჩნდებოდეს რომ სელის კულტურა გაავრცელოს ხალხში და მისგან ძაფი მოამზადონ, რისგანაც მერე ქართულში არსებული საფეიქრო სახელოსნოები მოჰქსოვენ ტილოებს, სელი ყველა შავ მიწაში კარგა მოდის ურწყავათ, უწინ, როგორც მოწმობენ დიდი ზეთის სახდელი დოლაბები მონასტერთან, სელის თესვა ძალიან სცოდნათ და სელიდან ძაფს ამზადებდნენ თუ არა, ამაზე ვერას ვიტყვი.

კ ა ნ ა ფ ი.

ქართლში კანაფი თავისთავად მოდის, მის თესლს არავინ იღებს, თვითღერო წალდით ან ცულით მოსაჭრელი იზრდება, კანაფისგან კეთდება ძაფი—თოკების საგრეხი და ტომრების მოსაქსოვად და სხვა ქსოვილებისთვის. თესლისგან იხდება ზეთი, და ჩინებული საკვებია საქონლისთვის თუ ფრინველისთვის. დიდათ საჭიროა ამ ბარაქიან კანაფის მოსავალს ყურადღება მიაქციონ აგრონომებმა და ხალხში გაავრცელონ მისი მოყვანა და მოხმარება რომ ჩვენ საფეიქრო სახელოსნოებს სატომრე ტილოები მოგვიქსოვონ.

საბოსტნე თესლეულობა.

ქართლი საბოსტნე თესლეულობით მეტად ღარიბია. უწინ საბოსტნე თესლეულობა საზღვარ გარეთიდან მოდიოდა იაფად. ჩვენში რაც ბოსტნები ითესებოდა, სწრაფად იჭმეოდა ქალაქების ბაზრებში და თესლისთვის არავინ ზრუნავდა. ახლა კი საბოსტნე თესლეულობა აღარსაიდან მოდის, და აქ ჩვენში უნდა აირჩინონ სათესლე ბოსტნები რომ მებოსტნეები თესლით უზრუნველ იყვნენ. თორე აგერ კიტრის თესლი ლამის გირვანქა ას ხამოც თუმანზე ავიდეს, კომბოსტოსი ას თუმანზე, სხვა არ მინდა დავასახელო, თორე სულ გააძვირებენ, ვისაც აქვს.

ა. ლ.

— **მესაქონლეობა** მიწ. მოქ. სამინისტრო იმუშავებს მთელ წყება ღონისძიებათ მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად. განზრახულია ზოოტექნიკური აღწერა, გამოფენების, კურსების არტელების მოწყობა.

— **მეაბრეშუმეობა** თბილისში ამერიკიდან ჩამოვიდა მეაბრეშუმეობის სპეციალური კომისია, რომელიც გამოგზავნილია ამიერ კავკასიაში შეერთებულ შტატების მეაბრეშუმეთა მთავარ სინდიკატების მიერ კომისია დაათვალიერებს ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის საბრეშუმო დაწესებულებებს.

საქონლის ჯიშის გაუმჯობესება. მიწათ-მოქმედების სამინისტრო-საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად შეისყიდა ახალქალაქის მაზრის დუხობორებისგან მთელი ჯგუფი ჯიშიან საქონლისა.

მეაბრაშუმეთა საყურადღებოდ. მთავრობამ უცხოეთში შეიძინა ორმოცდა ათი ათასი კოლოფი საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლი, რომელიც კიდეც შემოწმებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ და ცნობილია საღ თესლად. მეაბრაშუმეების წასახალისებლად მთავრობამ დაადგინა, თესლი მეაბრაშუმებს შეღავათიან პირობებში დაურიგდეს. ახლა კერძო პირები ექვს მისხლიან კოლოფს ჰყიდიან ექვსას—შვიდას მანეთად, მთავრობის ფასები კოლოფზე სამასი მანეთია. თესლის შეძენა შეიძლება. კოოპერატივებში, ერობებთან და აგრეთვე ზოგიერთ კერძო სავაჭროებიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელნიც იკისრებენ მთავრობის მიერ შეძენილ თესლის დარიგებას, შეუძლიანთ თბილისისა და ქუთაისის საბრეშუმო სადგურებში და აგრეთვე მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

დახმარება აბრეშუმის, თამბაქოს და მატყლის მწარმოებელთ. განზრახულია მიღებულ იქმნას სხვა და სხვა ღონისძიებანი საქართველოში მეაბრაშუმეობის, მეთამბაქოების და მატყლის წარმოების უფრო მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად და ასაყვავებლად. ფინანსთა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა აბრეშუმის პარკის, თამბაქოს და მატყლის მწარმოებელთა დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამას გარდა ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან, რომ სამინოპოლიო საქონელი: აბრეშუმის პარკი, თამბაქო და მატყლი მათ მწარმოებლებთან შეთანხმებით ისყიდებოდეს.

სათესი მინდვრები. გადაწყვეტილია მთავრობამ გადადოს 23,168,025 მანეთი სათეს მინდვრების გასაფართოებლად და სათესი მასალის შესაძენად.

უცხოეთი.

პოლონეთი და საქართველო.

(საქ. დეპ. სააგ.)

თბილისი. მარტის 23, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი ნოტა მიიღო: ბ-ნო მინისტრო პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის იცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო“, იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუტს“ საქართველოს მიმართ.

პოლონეთის მთავრობას მტკიცედა სწამს, რომ ამ ორ ქვეყნის საერთო ინტერესები ისე როგორც ურთიერთი სიმპატიები ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შუა მეგობრულ კავშირს დაამყარებს. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი რათა ამით დაამტკიცოს თავისი სიმპატია. პოლონეთის მთავრობამ ეხლახან მინისტრ ტიტ ფილიპ გიჩის თავმჯდომარეობით დაინიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო ხანში წამოვა თფილისს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს გთხოვთ კეთილმეგობრულად მიიღოთ ზემო აღნიშნული მისია. მიიღეთ და სხვა.

საგარეო საქმეთა მინისტრი **პატეკი.**

სომხეთი.

ეროვნული გლოვა.

სტამბოლის სომხეთა ეროვნულმა კრებამ დადგინა, გამოცხადდეს ერთი თვით ეროვნული გლოვა კილიკიაში მომხდარ უკანასკნელი ქლეტისა გამო.

ამის გამო გაზ. „ბოსფორი“ მოუწოდებს სხვა ქრისტიან საზოგადოებებს მიჰბაძონ სომხეთა მაგალითს, რადგან ამ შემთხვევაში ისინიც დაინტერესებულნი არიან. (აშხ.)

სომეხთა ქლეტის გავლენა ინგლისში.

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სომხეთა უკანასკნელი ქლეტის გავლენის ქვეშ ინგლისურ წრეებში გაძლიერდა მფარველობა სომხეთისადმი.

სპარსეთი.

თეირან-კასპიის ზღვის რკინის გზა.

გაზ. „ტან“-ი თებერვლის 20-ის თარიღით იტყობინება, რომ იმგლისურმა კომპანიამ მიიღო რკინის გზის გაყვანის კონცესია, რომელიც თეირანსა და კასპიის ზღვის სანაპიროს შეუერთებს.

ახალი ამბები

სოფლად და ქალაქად

— **არტაანის ოლქის მცხოვრებთა დასახმარებლად.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადო განკარგულება გასცა საექიმო-სასანიტარო განყოფილებისადმი. რათა არტაანის ოლქში დაჩქარებით გაიგზავნოს საექიმო პერსონალი საჭირო მედიკამენტებით.

— **სოფლის სასამართლოების აღდგენა.** სამოსამართლო კამერის სიშორის გამო ს. საგარეჯოში ადგილობრივ მცხოვრებთა შუამდგომლობით ნება დართულ იქნება ამ მოკლე ხანში ძველებურ სასოფლო სასამართლოების აღდგენა ეს სასამართლოები გაარჩევენ მცირე მნიშვნელოვან საქმეებს.

— **შენობების და მიწის ნაჭრების იძულებითი ჩამორთმევა.** ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი მართავს ამ მოკლე ხანში საგანგებო თათბირს, რომელზედაც მოწვეულ იქნებიან ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენელნი. თათბირი განიხილავს მოხსენებას შენობების და მიწის ნაჭრების იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

— **კავკავთან ტელეგრაფის** კავშირის უქონლობის გამო დროებით შეწყვეტილია ჩრდილოეთ რუსეთში მიმართული დეპეშების მიღება.

— **სოფ. ახალქალაქში** (გორის მაზრა გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომელშიც ტელეგრაფის მოწყობამდის წარმოებს მარტო ფოსტის ოპერაციები. სად. გრაკალთან კორესპონდეციის სცვლის ფოსტის ვაგონებთან.

— **ფოსტის განყოფილება ახმეტა.** (თიანეთის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად გარდაიქნა.

— **კავკავში** როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს საქართველოს საზღვრამდე გამეფებულია თავ აშვებულიძარცვა-გლეჯა მგზავრებს სადარაჯოებზე ჰქურდავენ ოსები იმ საბუთით რომ ვითომ მათ ჯამაგირები არ მიუღიათ რამდენიმე თვისა. საქართველოს საზღვრიდან კი სრული წესიერება სუფევს და მგზავრები თავისუფლად გრძნობენ თავს. თვით კავკავში და მის ოლქში შეტაკებებია ინგუშთა და ოსებს შუა. თავი უჩენია ეგრედ წოდებულ „როზოვი“ ახლად შემდგარ ნაწილებს რომელსაც სიმპატია დაუმსახურებია თავისი სიფაქიზით. ეს ნაწილები მგზავრებს მხოლოდ იარაღსართმევენ და და ფულსა და ქონებას არ ეხებიან. აგრეთვე სთხოვენ მსურველთ ჩაეწერონ მათ ნაწილში.

— **ახალი საქონელი** ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა ხუთი გემი მრავალნაირ საქონლით დატვირთული.

— **შაქარი** მარტის 24-ს ფოთში გემმა ორასი ათასი ფუთი შაქრის ფხვნილი მოიტანა.

გ. გუჯეჯიანის საქმე.

შარშან გიორგობისთვეში ქ. ზესტაფონში მოხდა მეტად აღმაშფოთებელი ამბავი.

ადგილობრივმა მენშევიკების პროპაგანდისტებმა სიმონიკა გოცაძემ (გვარდიის შტაბის წევრი) სრულიად უსაბუთოდ დაატუსაღა ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გუჯეჯიანი და იმის მაგივრად რომ ციხეში გაეგზავნა ოსეთის საზღვარზედ მიმავალ გვარდიას გაატანა და სოფ. ჩონთოში სადორეში ჩაამწყვდია!

რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალი ის სიკვდილით დასჯას ელოდა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის თხოვნით მთავრობამ მოითხოვა, რათა გ. გუჯეჯიანი თბილისში გადმოეყვანად.

მაგრამ თავნება შტაბის წევრებმა რომელნიც მუდამ თავის სურვილსა და ნებაზე მოქმედობენ, გაგზავნა გ. გუჯეჯიანი ქ. ზესტაფონში, სადაც ის გაასამართლეს რაიონის კომისარმა, ადგილობრივ დურგალმა და ვაგონების შემკვრელმა. ასეთ სასაცილო სამართალმა მას ექვსი წლის კატორღა მიუსაჯა!

რასაკვირველია მეტად აღმაშფოთებელი და მომავლისათვის გამოსადეგია ეს ამბავი, რომელზედაც თვით საქართველოს სენატი თავის დადგენილებაში ამბობს: „თვით კანონიც არ არის სწორედ ნახმარი და გასამართლებაც უკანონოა და უკუღმართია, ამ რიგად სასამართლო, რომლითაც მისჯილი აქვს გუჯეჯიანს კატორღა არავითარ შემთხვევაში არ წაგავს სასამართლოს და არც შეიძლება მას ეწოდოს სასამართლოს სახელი, რადგანაც არ არის ნაჩვენები ვისგან არის დაარსებული იგი და არ არსებობას კანონიერი შემადგენლობა, არ არის კანონი სწორედ ნახმარი“ და სხვა.

რითი უნდა იმართლოს თავი იმ მმართველ პარტიამ, რომელიც ასეთ ნ-რიყალა ხალხს აჩეჩებს ხელში ხალხის მეთაურებად და მათ ანდობს მთელი კუთხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბედსა? პარტიის იმედით ასეთი უვიცი ხალხი იმდენად თამამდება, რომ ბოლოს ნამდვილ მთავრობასაც აღარ ემორჩილება, როგორც ეს გუჯეჯინის საქმეზე გამოიჩინეს: როცა მთავრობის თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა მრავარჯერ მისწერეს, რომ გუჯეჯინი მათ არ გაესამართლებინათ, მათ ყურიც არ ათხოვეს ამას და ერთი-მეორეს ეუბნებოდნენ; მინისტრები ჩვენი დაყენებული არიან და მათ ჩვენთან ხმა არ აქვთო“. ამის შემდეგ რათი უნდა იმართლოს თავი იმ პარტიამ, რომელიც აწყობს ასეთ სამართალს?! ან ზესტაფონის იმ ერობამ რომელმაც მიანდო ასეთ ხალხს მთელი კუთხის მმართვა და პატრონობა.

ასეთი ვაჟბატონები ეპატრონებიან უყურადღებოდ დარჩენილ ჩვენ ხალხს. ასეთ ხალხის ხელშია ძალაც და სამართალიც. რა უნდა ჰქნას სოფელმა, რა უნდა ჰქნას უვიცმა გლეხმა?

დროა, მოისპოს ბატონობა პარტიულ შურისძიებით გამსჭვალულ ხალხისა.

დროა უსამართლობას ბოლო მოეღოს!

გ. ღ-ლი.

ცოდოა უწია, ცოდოა!

— სისხლი უნდა ავიღო, სისხლი! სისხლი! სისხლი! სისხლი!..—უყვიროდა ტეტო და წინ გადაღობილის ორის ვაჟკაცის ხელის მოშორებას ლამობდა.

— რად მიჭერთ, კაცო? რათ მიჭერთ? . ვოჰიმე!.. მამა მომიკლა და უნდა შევარჩინო?—მიმართა უკანასკნელად შემკავებელთ და ჰაერში ხანჯალი შეაპრიალა.

გზა გაიკვლია.

— შვილო.—შეჰკივლა დედამ და ქმრის გვამს თავი ანება. ჰსურდა ტეტო შეეჩერებინა და უკან გამოეკიდა.

ღვთისმოყვარე ადამიანს არ უნდოდა, რომ შვილი კაცისმკვლელი გაჰხდომოდა. ქმრის უბედურობას ღვთის ნებას აწერდა და არც მკვლელს სწყევლიდა, არც მის ოჯახსა. ყველამ იცოდა სიდოს ასეთი გული და არავის გაჰკვირებია, როცა შვილის შეკავებას შეეცადა. შურისძიება ქრისტიანი ადამიანის საქმე არ არისო იმეორებდა ხოლმე ხშირად, როცა კი სიტყვას მოუტანია და ასრულებდა კიდეც ამ მცნებას.

მაგრამ ტეტოს ასე გაალმასებას კი არავინ არ მოელოდა. მუდამ წყნარი, სათნოიანი სახის პატრონი, ეხლა თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და მირბოდა დათუნა ბეროაშვილის მოსაკლავად.

გზაში რამოდენიმე ახალგაზდა კიდევ შეეცადა ტეტოს შეჩერებას, მაგრამ შემოქნეულმა ხანჯალმა უკან დაახევინათ.

— უიმე! გენაცვალეთ, ხანჯალ ამოღებული მორბის!—წამოიძახა დათუნას ქალმა ნინომ და მამას წინ აეფარა.

ქალი ეს იყო ეხლა მკაცრად ჰკიცხავდა დათუნასა, დათვრები და აღარაფერს არჩევო, გონება გეკარგებაო, ეუბნებოდა გაგულისებული, მაგრამ როცა ამოღებული ხანჯალი დაინახა გულმა უბრუნა და შვილურმა გრძნობამ აამოქმედა.

— ნუ მომიკლავ მამას, ნუ!..—შესთხოვა ჯერ ისევ შორს მყოფს ტეტოსა და მუდარის ნიშნად ხელები გაუშვირა, გულმკერდი წინ წაზიდა. — ერთი მყავს, ერთი, მშობელი! შენ დედა მაინც დაგრჩა.

აქნობამდე სინიდისის სიმძიმით მოკაკვული და თავჩაღუნული დათუნა ეხლა წელში გასწორდა და მოახლოვებულ ტეტოს თვალი მიაპყრო. მტკიცე გადაწყვეტილებამ გადურბინა სახეზე და თავის ქალს ხელი წაავლო.

— ჩამომეცალე, გოგო!--აღმოხდა პირიდან მკვეთრად.—მე არ მეშინიან სიკვდილისა! მეც მაკრავს წელზე ხანჯალი!—ხანჯალი ქარქაშიდან ამოიღო,—მაგრამ...—მკვეთრი კილო მოულბა,—ღმერთო, ხომ ხედავ არ მინდა სისხლში მეორეთ გავრიო ხელები! უნებური დამნაშავე ვარ, მაგრამ დეე მაინც მომკლას. უბედურება შემემთხვა, შვილო ნინუცი! შენ თვითონ არ მეუბნებოდი რას ერჩოდი, იმ კაცის ცოდო რათ დაიდეო? აგე ხალხიც როგორ შემოგვეფანტა, ყველამ კარები ჩაიკეტა. მომეცა, შვილო, მომეცა ცოდო დავიდე კისერზე და უნდა ვზღა. აღარ მეცხოვრება. ამოღებული ხანჯალი შორს გადააგდო.

ქალი მაინც არ მოშორდა მამას გაქვავებული იდგა ხელებგაწვდილი და ელოდა ახალგაზდა მამაკაცის იერიშსა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ან მამა გადაერჩინა ან თვითონაც გათავებულიყო.

დათუნა ცდილობდა დაყვავებით ჩამოეცალნა შვილი გზიდან, მაგრამ ვერას ხდებოდა.

გახელებული ტეტო კი უკვე წინ ედგა ორივეს.

— დიაცი არ მოჰკლა, ტეტო, დიაცი!—შესძახა დათუნამ.—აი ჩამოვიცილი გზიდან და გამათავე. მე თვითონ აღარ მინდა სიცოცხლე... ძნელი ყოფილა, ძნელი სინდისთან ბრძოლა! რომ შემძლებოდა თავს მოვიკლამდი არ მინდოდა, ისედაც დამძიმებული სული, უარეს ცოდოში გამერია! მომეცა, მომეცა!—უთხრა გაჯავრებით ნინოს და სწრაფის მოძრაობით შვილი ზურგთ უკან მოიქცია.

ქალს გული წაუვიდა.

— ჩამეცი რაღა ხანჯალი!— მიმართა დათუნამ ტეტოსა და მკერდი გადიშიშვლა.

მაგრამ ტეტოს მაღლა აზიდული ხანჯალი უძრავად ეჭირა და თვალები უცნაურად მიეჩერებინა გულწასულ ქალისათვის. სახეზე კიდევ მრისხანება ნელნელა უქრებოდა და ჩვეულებრივი სიწყნარე და სათნოება ეფინებოდა ზედა რა ემართებოდა, თვითონაც ვერ მიხვედრილიყო. გული ეხლაც ისევ უშფოთავდა მაგრამ სულ სხვანაირად.

— ადამიანო,—დაუყვირა დათუნამ.—ნუ მტანჯავ!

— ჩემი შვილი თავისდღეში არ გახდება კაცის მკვლელი.—დაიძახა მოახლოვებულმა სიდომ—დააგდე, შვილო, ხანჯალი, დააგდე!

ტეტოს არც კი მოუხედნია უკან დედის სიტყვებზე, გულწასულ ახალგაზდა ქალისათვის თვალი ვერ მოეშორებინა, მაგრამ ხანჯალი კი დააგდო ხელიდან და თან თვალებიდან კუკური ცრემლი გადმოსცვივდა.

დედამ ხელი წაავლო და შეანჯღრია.

— რა დაგემართა შვილო, რა?—კითხა შემკრთალმა.

ტეტომ გულწასულ ქალზე მიუთითა.

სიდოს, თითქოს თავის ჯავრი გადაავიწყდაო, ჯარისავით დატრიალდა, შეიჰრა მოურიდებლად ქმრის მკვლელის სახლში და ლიტრით წყალი გამოიტანას ქალის მოსულიერებას შეუდგა.

სიდოს ამ ნაირმა საქციელმა ხალხს თავი მოუყარა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ყველა იმას იმეორებდა, გიჟია თუ რა არის ეს ადამიანი რომ ქმრის მკვლელის ქალზე ასე დაფათურდაო.

დათუნას ხომ ველარა ეწამებინა რა და გაშტერებული უცქეროდა სიდოსა და ტეტოს.

— არა ვარ ღირსი, არა!—წამოიძახა ბოლოს ხრინწიანის ხმითა და წაბარბაცდა მდევივით ვაჟკაცი დედამიწას გაწერთხო.—წყალი..., ამოხდა ერთი სიტყვა კიდევ პირიდან და სამუდამოდ მიდუმდა.

— ცოდომ უწია, ცოდომ!—გაისმა მაყურებელთ შორის და ასტყდა ჩვეულებრივი ყაყანი.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა ახიას ძახილით და დათუნას გვამს ცრემლი ისევ გულმობრუნებულმა საკუთარმა ქალმა და სიდომ დააყარა.

ქალი დასჩურჩულებდა, თავი რათ დამანებეო, სიდო კიდევ, ღმერთმა შეგინდოსო, ეუბნებოდა.

ტეტო კიდევ ქალს უცქეროდა.

ირ. სონღულაშვილი.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ყველა მეაბრეშუმესათვის ცხადია, რომ აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ, როცა თვითონ თესლიც კარგი თვისებისაა. ამისათვის მეაბრეშუმეს უმთავრეს მიზანს შეადგენს სალი თესლის შეძენა-მოპოვება ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ეს საქმე რიგიანად არ არის დაყენებული. ამისა მოწყობა-მოგვარება შეადგენს უმთავრეს მოვალეობას, როგორც მთავრობის სპეციალურ დაწესებულების, ისე საზოგადოებრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოოპერატივებისა. დღევანდელ პირობებში სასურველია ჩვენმა მეაბრეშუმეებმა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) უმთავრესი ნიშანი ჭიის თესლის კარგი თვისებისა ის არის, როცა მასში სრულიად არაა ავადმყოფობა კებრინა, რომელიც ძლიერ მავნებელია აბრეშუმის ჭიისთვის.

ბ) ავადმყოფობის შემჩნევა თესლში მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება.

რადგან ჩვეულებრივ მეაბრეშუმესათვის მიკროსკოპის ხმარება ხელ-მიუწვდენელია, ამისათვის თბილისის საბრეშუმო სადგურს დაევალა მთავრობის მიერ შემოტანილ თესლის მიკროსკოპიით გამოკვლევა-შემოწმება. სადგური იმის და მიხედვით, თუ რა თვისებისაა შემოწმებული თესლი, ჰყოფს მას ორ ხარისხად და აკრავს სხვა და სხვა ფერის ბანდეროლს.

ა) პირველ ხარისხის თესლი ის არის, რომელშიც სრულიად არარი კებრინის ავადმყოფობის ნასახი. ამისთანა თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს თეთრი ბანდეროლი ზედ წარწერით „უკებრინოა“ და დაბეჭდილია ლუქით.

გ) მეორე ხარისხის თესლი, თუმცა ცოტა კებრინიანია, მაგრამ ჭიის გამოკვებას და პარკის მოსავალს ისე არ ავნებს. ასეთ თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს ლურჯი ბანდეროლი ზედ წარწერით „სამრეწველოა“ და ისიც დაბეჭდილია ლუქით.

პარკის კარგი მოსავლის მისაღებად საკმარისი არ არის მარტო სალი თესლის შეძენა, საჭიროა კიდევ შემდეგი პირობების შესრულება:

ა) თესლი უნდა შეიძინოს მეაბრეშუმემ თავის დროზე—მარტსა და აპრილში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს აპრილის ბოლოსა. წელს მაგალითად, თესლის შეძენა არ უნდა გადასცილდეს პირველ მაისს და მთავრობის ახალი დადგენილებით თესლით ვაჭრობა აღნიშნულ დროის შემდეგ აკრძალულია.

ბ) მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი თესლი, რამდენისთვისაც მას ექნება სამყოფი თუთის (ბჟოლის) ფოთოლი და საჭიე სახლი.

გ) ექვს ან შვიდ მისხლიან კოლოფ თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოსაკვებად საჭიროა 40 დიდი ანუ 60—80 საშუალო სიდიდის ხე და საჭიე სახლი, რომელშიაც დაახლოვებით თავსდებოდეს 276—323 კუბიკური არშინი ჰაერი.

დ) მეაბრეშუმემ კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ მას აქვს სამყოფი ფოთოლი და საჭიე სახლი მარტო ერთ კოლოფ თესლის ჭიისათვის და ის კი ორ ან სამ კოლოფ თესლს აიღებს, ამით ის ვერაფერს მოიგებს, ხშირად შრომა ტყუილა ჩაუვლის. ასეთ შემთხვევაში მეაბრეშუმეს ან სულ უფუჭდება მოსავალი ან პარკი უფრო ცუდი თვისების გამოვა და ჭიებს ავადმყოფობაც უფრო ადვილად გაუჩნდება და სხვა.

ე) ერთსა და იმავე საჭიე სახლში არ შეიძლება გამოყვანა გამოკვება ჭიების, ორი სხვა და სხვა ხარისხის და ფირმის თესლიდან, რადგანაც თუ ერთ კოლოფში საეჭვო თესლია და ჭიებიც სნეულია (საქართველოში ხშირად მეაბრეშუმეები ერთსა და იმავე სახლში იჩენენ, როგორც გამოწერილ, ისე შინაური ორმოსავლიან თესლიდან გამოყვანილ ჭიებს, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში რაიმე გადამდები სენი სჭირს) ავადმყოფობა მეორე სალი თესლის ჭიებსაც გადაედება.



მიკროსკოპი (წვრილ ?იდიდე)

დასასრულ მეაბრეშუქეთა ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ წელს მეაბრეშუმეობის ნაწარმოები დიდ ფასებშია მსოფლიო ბაზარზე,, მაგალითად, ფუთი ხმელი პარკი ღირს რამოდენიმე ათასი მანეთი. ეჭვს გარეშეა, რომ ნედლი პარკის ფასიც ძლიერ დიდი იქნება.

როგორც დაწვრილებით გამოირკვა, წელსაც შედარებით ცოტა აბრეშუმის თესლი დაუმზადებიათ, როგორც ჩვენში ისე უცხოეთშიც: ოსმალო-ევროპაში, რადგანაც ცუდი მოსავლის გამო სათესლე პარკი ძლიერ ცოტა და დიდ ფასებში იშოვებოდა. აღნიშნულ მიზეზების გამო თესლის ფასებიც შედარებით დიდია: კოლოფი ცოტა საიმედო შემოწმებული თესლი ამ ჟამად უცხოეთში იყიდება ?00-600 მან.

მეაბრეშუმეობის კოლექცია

ფასები დღითი დღე მატულობს; ამისათვის ურჩევთ მეაბრეშუმეებს დღეიდანვე დაიჭირონ თავდარიგი თესლის შესაძენათ და ჩვეულებრივად ნუ უცდიან თესლის გაიაფებას; პირიქით ის უფრო გაძვირდება, თანაც გაფუჭდება და. მეაბრეშუმეს შრომა ტყუილი უბრალოდ ჩაუვლის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა რა მეაბრეშუმეობის დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა, განიზრახა ჯეროვანი დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეობის განვითარება-გაუმჯობესობის საქმეს. ამ მიზნით მან დროზე შეიძინა უცხოეთში ცნობილ და საიმედო ფირმების თესლი, რომელიც უკვე შემოწმებული და ბანდეროლ შემოკრულია. ეს თესლი ამ დღეებში გადაეცემათ ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციებს, და კერძო სავაჭროებს მეაბრეშუმეთათვის დასარიგებლათ-გასასყიდათ შეღავათიან პირობებში. ამასთან ერთად განზრახულია ტეხნიკური დახმარება გაუწიონ მეაბრეშუმეებს გამოცდილ სპეციალისტ-ინსტრუქტორებში თესლის რიგიან გამოყვანისა და ჭიის მოვლის საქმეში. პარკის მოსავლის გასაღებაშიაც მთავრობა შემდეგ დახმარებას გაუწევს მეაბრეშუმეს: ნედლი პარკის ჩაბარებისას მეაბრეშუმე ღებულობს ადგილობრივ ფასების 60% და დანარჩენ 40% მიიღებს როცა მთავრობა ჩაიბარებს ხმელ პარკს, ისე რომ ერთ ან ორი თვის განმავლობაში მეაბრეშუმე მიიღებს პარკის მთელ საფასურს. შემდეგ როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში მეაბრეშუმეს დამატებით მიეცემა წმინდა მოგებიდან 30% ორგანიზაციას, რომლის საშუალებით გატარდა ეს ოპერაცია, ეძლევა წმინდა მოგებიდან 0%, საბრეშუმო ფონდში გადიდება 10% და მხოლოდ დანარჩენი 50% რჩება მთავრობას.

ასე რომ წმინდა მოგებიდან ნახევარი (50%) ხვდება მეაბრეშუმეობის წარმოებას და მეორე ნახევარი მიდის სახელმწიფო ხაზინაში. გარდა ამისა მთავრობის მიერ სათანადო ზომებია მიღებული თუთის—ბჟოლის პლანტაციების გამრავლებისა. თესლის ადგილობრივ დამზადების და ძაფის ამოღება-დამუშავების შემოღების და რიგიანად წარმოების საქმეში, რის განსახორციელებლად გადადებულია უკვე რამოდენიმე მილიონი მანეთი. ამნაირად, თუ ჩვენი მეაბრეშუმეები სათანადო ყურადღებით მიიღებენ ყველა ზემოაღნიშნულ რჩევა-დარიგებას, რიგიანად გამოიყენებენ მთავრობის დახმარებას და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მალე ჩვენი მეაბრეშუმეობა შეიქნება სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგად, როგორიც არის იაპონიასა და სხვა საუკეთესო საბრეშუმო ქვეყნებში.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი
ი. ქუთათელაძე.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

სტამბა „ხელოვნება“ ველიამინოვის ქუჩა 20.